

1935 N 12



ბრძოლის

გზის

368567, 1935 წ.

№ 1

4 აბი 40 აბი.

ნოენბერი

1-20
საბჭო



ნახ. ა. ქოქიაშვილის.

საპატიო დელეგატიები

„საბჭოთა კავშირის მრავალბუნება და მეურნეობა საბჭოების მე-7 ყრიღობას გეგმების გადაჭარბებით შესრულებით შიხ ვაღარ“.

ახალი ნაგარჯმობაგით
ვიღიან, მიშსარიათ;
ბარაჟიფთა და დოგლათით
ბაიგსო მთა და ბაგრა.

ნიანგის საანგარიშო მოხსენება

ფარდა აიხადა. თავმჯდომარემ საქართველოს საბჭოების მეშვიდე ყრილობა განხილად გამოაცხადა, რასაც ყრილობა ფეხზე ადგომით და ტაშისცემით შეხვდა. დაიწყო ორგანიზაციების წარმომადგენლების მისასალმებელი სიტყვები. ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდნენ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და სხვა ამხანაგები. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე ნიანგი.

როდესაც ნიანგი სცენაზე გამოჩნდა და ტრიბუნაზე აღიმართა ერთ-ერთ ლოჯიაში უცხო სახელმწიფოს ორ წარმომადგენლის სახეზე უკომოვებო აღიბეჭდა, რაც ნიაგისთვის შეუძინველი არ დარჩენილა. მრავალ რიცხოვან ნიანგარების სახელით ნება მომეცით მხურვალე სალაში გადმოვცეთ თქვენ, საქართველოს საბჭოების მეშვიდე ყრილობის დელეგატებს! — გაისმა ნიანგის ბოხიანი ხმა.

— ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობა, — განაგრძო ნიანგმა: — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე მოპოებულ უდიდესი მიღწევებით ეგებება საქართველოს საბჭოების მეშვიდე ყრილობას, — ეს მიღწევები ყველასათვის აშკარაა და თვალდანახული. ამის მაჩვენებელია აქვე მოწყობილი გამოფენის დიაგრამები. ამ მიღწევებს თქვენ კარგათ იცნობთ, მის შესახებ სხვები მოვასხენებენ, მე მინდა შევეხო მხოლოდ იმ მიღწევებს რომლის შესახებ არა მგონია აქ ჩემსმეტმა ვინმემ ილაპარაკოს... მე მოვასხენებთ ჩემზე და ჩემს ლაშქარზე დაკისრებულ ე. ი. ქართულ სატირა-იუმორის ფრონტზე მოპოებულ წარმატებათა შესახებ.

ჩვენ ვიწარმოებდით გამოილ შეტევას სატირის ფრონტზე.

ჩვენი მიღწევები უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში შეექმნე საბჭოთა ყრილობიდან მეშვიდე ყრილობამდე ასეთია:

აგებულია ჩანგლის წვერზე, გადაგზავნილია წიაღსა შინა ხახისა ჩემისა, დაჯილდოვებულია ორდენებით და მიყენებული აქვთ სხვა და სხვა სახის კრილობანი ჩანგლის წვერით სხვადასხვა სახის დამნაშავეებს ქვეით მოყვანილ ცხრილის მიხედვით.

დამნაშავენი	1931 წ.			1932 წ.			1933 წ.			1934 წ.		
	დაჭრილია	აგებულია ჩანგლის წვერზე	გადასასწავლია	დაჭრილია	აგებულია ჩანგლის წვერზე	გადასასწავლია	დაჭრილია	აგებულია ჩანგლის წვერზე	გადასასწავლია	დაჭრილია	აგებულია ჩანგლის წვერზე	გადასასწავლია
1. ბიუროკრატი	43	106	339	86	112	678	123	146	707	—	102	850
2. გამფლანგველი	—	26	43	—	41	65	—	16	75	—	17	106
3. ოპორტუნისტი	67	71	35	69	80	37	27	94	95	15	105	144
4. მოლაყბე	8	11	—	5	17	5	103	190	61	55	49	100
5. მექრთამე	—	8	12	5	7	11	4	7	9	—	12	21
6. მენებელი	17	23	40	—	27	51	—	45	54	—	4	67
7. გაცდენი	21	13	7	29	19	7	17	31	34	—	47	—
8. მფრინავი	23	15	9	32	21	9	19	33	36	—	37	—
9. თვალთმაქცი	7	8	5	9	16	13	5	19	7	—	23	27
18. მილიქნველი	7	15	—	5	14	3	2	13	3	—	12	—
11. ლოთი-ფოთი	27	31	—	29	34	7	27	19	—	19	37	—
12. ხულიგანი	20	20	5	15	18	10	16	15	—	8	7	1
13. წამგლეჯი	3	5	1	7	4	3	6	5	1	7	6	3
ს უ ლ	263	352	496	301	408	899	347	703	1090	104	39	1519


ამრიგად ამხანაგებო, ჩემ მიერ საანგარიშო წლების განმავლობაში სულ
დაჭრილია—1015 მოქალაქე
აგებულია ჩანგლის წვერზე—1857
გადასასწავლია—4004.
 მე ვიცი ამხანაგებო, რომ ამ ციფრების წაკითხვისთანავე მენშევიკები, ოპორტუნისტები და კაპიტალისტების ყველა ჯურის აგენტები ასტებენ განგაშს ჩემი „უმსგავსო“ საქმიანობის შესახებ და წამოაყენებენ

ერთა ლიგის სხდომაზე საკითხს ჩემი განიარაღების შესახებ. მე მხარს უჭერ ამს. ლიტენინოვის წინადადებას განიარაღების შესახებ, მაგრამ რაც შეეხება პირადათ ჩემს განიარაღებას, ვაცხადებ ყველას გასაგონათ, რომ პირადათ ჩემს იარაღს: ჩანგალს და კბილებს სანამ იარსებებს კლასობრივი ბრძოლა და კაპიტალისტური ქვეყნები არავითარ შემთხვევაში არ დაეთმო! (ხანგრძლივი ტაში და ოფიცები).

ს. ე—ლი.



28/1
1954



(ნაწევები მოთხრობიდან „აზნაურის სიკვდილი“)

თვედორე ჯერ ვაჭრის მოჯამა-
გირე იყო; შემდეგ ბაღის მესაოთრე
გახადეს. შემდეგ ვიღაც ყოფილი
აზნაური მოლაყბე ოქრობირი მოე-
ვლინა მონახევრედ... ერთი წლის
შემდეგ კი ეს ჯამბაზი ზედსიძედ
ჩაუსახლდათ.

— ოქრობირ, მიშველე შე კაი
კაცო. შენც ამ ოჯახისა ხარ, და
კარმიდამოში მაინც დატრიალდი.—
ხშირად ეუბნებოდა თვედორე თავის
ზედსიძეს.

— მე ქალაქში მელოდებიან. არა
მცალია.

ოქრობირი ვერასოდეს ვერ იც-
ლიდა: ვერც დილით, ვერც შუა-
ღამს, ვერც საღამოაქამს. არც ზამ-
თარში ეცალა, არც შემოდგომაზე,
ხოლო ზაფხულ-გაზაფხულის სიცხე-
ში ვის გაუგია შრომა? ოქრობირ
„თვალის სინათლეს“ სულ სხვანაირი
სისხლი აქვს. სიცხე დაჰკრავს და
მორჩა, გათავდა! ბაბაღე დაქვრივ-
დება, ტიტეკო დაობლდება.

— „ნეტამც აგსრულდება. შენ
პირს შექარი. ყველას გვეშველება“.

ბუზღუნებდა თვედორე და მარ-
ტო მიათრევდა ბაღსაც და ოჯახ-
საც: ოქრობირს საიჯაროს უხდიდა
და თვითონ იმასაც და იმის ცოლ-
შვილსაც აცმევდა და ჰკვებავდა.
თვითონ ოქრობირი თვალის სინათ-
ლე კი თავს არხეინად გრძობდა და
ოქრობირობდა:

— ინდივიდუალური წარმოება
აღარ გვინდა. დროა ყველაფერი გა-
ვეერთიანოთ და კომუნა დავა-
არსოთ!

ერთ საღამოს თვედორემ და ოქ-
რობირმა საუბარი გამართეს.

— ოქრობირ, გამაგებინე, კომუნა
რა არის?—ჰკითხა თვედორემ.

— კომუნა ის არის, რომ მთელი
სოფელი ან მისი ნაწილი გაერთიან-
დება. ყოველი მონაწილე ყველა-
ფერს შეიტანს, რაც კი მოელოება,

სახნავს, ბაღს, ვენახს, საქონელს და
სამუშაო იარაღს.

— კი, ვამიგია, კარგი საქმეა, მა-
გრამ ეს მითხარი: ზოგს რომ შესა-
ტანი არაფერი აქვს და ზოგს კი
ათი-ათასი თუმნის ქონება შეაქვს.
აქვს რა მოუხერხოთ?

— ვისაც მაგოდენა ქონება აქვს,
ის კულაკია და მისი ქონება კომუ-
ნას უნდა გადაეცეთ.

— ჩვენს მეზობელ მათიკაძეს ხომ
იცნობ, ოქრობირ! ისინიც მოიჯარა-
დრენი არიან. ვეება ოჯახი აქვთ.
ხუთნი ძმანი არიან. ცოლშვილიც
რომ იანგარიშო, ოც სულზე მეტი
გამოვა, მუშაობით კი თორმეტი სულ-
ლი მუშაობს ახლა ის ქონება ყვე-
ლას გაუყავი და იანაირი შე თითო
სულს რამდენი ერგება.

— მათიკაძეებს მოჯამაგირე
ჰყავთ სხვისი შრომით ცხოვრობენ
და ამიტომ კულაკები არიან.

— ბაბაღე ხომ არა ვარ, ოქრო-
ბირ, რომ დავიჯერო. მაშ ერთ
მოჯამაგირეს შესძლება იმოდენა

ნახ. დონის.

მეგობრული უარში.



მინხაში (ნინანგს) — აქამდე
მხოლოდ ერთმანეთს ვხვდებოდით,
დღის შემდეგ კი ჩვენ ერთად ვიქ-
ნებით!

ბაღიც შეეძინა მათიკაძეებისათვის
და ოცი სულიც გამოეკვება.

— მაშ მოჯამაგირეს არაფერი
ერგება?—კითხა ოქრობირმა.

— აბა შენვე მოსკერი სამართა-
ლი: ოც წელიწადში თიკანაძემ ოცი
მოჯამაგირე გამოიცივლა. ახლანდელ-
ლი მოჯამაგირე ერთ წელიწადს
მოშაობს და ამოდენა ხალხის ოციო-
დე წლის ნაოფლარი მარტო მას უნ-
და არგუნონ?

— ერგება და არგუნებენ.

— ძალიან კარგი.—დაუდასტურა
თვედორემ და წამოდგა.—თუ იმ
მოჯამაგირეს ექვსი თვის მუშაობა-
ში იმოდენა ბაღს არგუნებენ, მე და
ჩემს დედაკაცს ოცი წლის მუშაობა-
ში ეს ბაღი არ გვერგება? იმის ნახე-
ვარსაც არ მოგვცემინ?

ოქრობირმა გადმოკარკლული
თვალები უარესად გადმოყარა და
პირლია დარჩა. მაკრინემ ჩაიხიზინა
თა. ბაბაღემ გადიკისკისა. თვედო-
რემ კი გაიღიმა და მიაყოლა:

— თუ ერთ მოჯამაგირეს ოცი
სულის შენახვა შესძლება, რატომ
მე და მაკრინეს არ ჩავეითვლიან
შენს შენახვას?

— კი, ჩავეითვლიან, მაგრამ...—
წაილულულა გაშტერებულმა სიძემ
და კოდალა ცხვირი ჰერს დაუმიზნა.

— რის მაგრამ რა მაგრამ.—აღარ
დაცალა სიამბრმა.—შენ მოიჯარა-
დრე ხარ და მე შენი მოჯამაგირე,
მაშ შენ კულაკი ყოფილხარ და მე
პროლეტარიატი, ხომ აგრეა? სთქვი,
ავრეა თუ არა?

ახლა დედაშვილის სიცილს ისეთი
ხარხარი დამატა თვედორესი, რომ
მისი მსგავსი იმ სახლს არასოდეს
არ სმენოდა. გახარებულნი სიამბრმ
გაფშვილ ხელგებს თეძოვებზედ
იტლამუნებდა და ხაფანგში გაბმულ
სიძეს შევებას აღარ აძლევდა:

— სთქვი, კულაკი ხარ თუ არა?
სთქვი, პროლეტარი ვარ თუ არა?

ოქრობირი მორცხვად გაიძურწა
კარში, შიგნით კი კვლავ გაისმოდა
სიცილი და მხიარული შეძახილი.

მინხაში ჯამახიზილი

საქართველო

ძნელი იყო იუმორისტული მოთხრობის წერა, მოხვიდოდი ქაცი ხანდახან იუმორის გუნებაზე და მიუჯდებოდი მაგიდას, აიღებდი ხელში საწერკალამს, მოიმარჯვებდი საწერად ქალაქს, მაგრამ აღმოჩნდებოდა, რომ ეს ქალაქი იყო ისეთი ხარისხის, რომელზედაც კალამის შოსმა არ შეიძლებოდა, ან თავთ ქალამი იყო ისეთი, რომლის ქალაქზე შოსმა არ შეიძლებოდა, ან და არც კალამი და არც ქალაქი არ ღებულობდნენ წყალწყალა მელანს!

მაგრამ ყოველივე ესენი თუ მოხერხდებოდა და მოთხრობა როგორმე დაიწერებოდა, მის აწყობას და დაბეჭდვას ალარ იკითხავდით? ერთი გასწორებული შეცდომის მაგიერ ბჭკარში ორი ახალი წავიდოდა, თუ მთლად თავდაყირა არ გადატრიალდებოდა, ეს ბჭკარი, მეორე მოთხრობაში ამოყოფდა ის თავს!

ამ განსაცდელსაც თუ გადაურჩებოდა მოთხრობა, ბეჭდვის დროს მაინც ვეღარ ასცდებოდა ხიფათს: ან და შავის თეთრზე წაკითხვა რომ თეთრი სულ შავად იქცეოდა, ანდა და შავის თეთრზე წაკითხვა შეუძლებელი გახდებოდა საღებავის მომჭირნების გამო!

მაგრამ დამკვიროლობამ, შეჯიბრმა და უკანასკნელ საბჭოთა-მეშვიდე ყრილობის სახელობის საწარმოო ლაშქრობამ თითქმის აღმოფხვრეს ყოველივე ეს ნაკლულ-განებანი და შესაძლებელი შეიქნა კარგ ქალაქზე, კარგი საწერკალამით და მელნით კარგი იუმორისტული ფელეტონის წერა!

მეც მოვედი ხასიათზე და მიწადა „ნიანგის“ ამ ნომრისთვის დამეწერა რაიმე იუმორისტული შემთხვევა, რომელსაც ადგილი ექნებოდა უსათუოდ ახლად ჩატარებულ საბჭოთა გადარჩევების დროს, ადგილებზე. მაგრამ შემთხვევით ხელში ჩამივარდა საზღვარგარეთელი თეთრგვარდიელების გაზეთი „აღორძინების“ ერთი ამონაწერი, რომელშიაც მოთხრობილია ისეთი ამბავი, რამაც გადამავიწყა საარჩევნო თემა, და საქორწინო - სამაჟრო ხასიათზე დამაყენა!

— „აუარებელი ხალხით არის გაჭედილი დირიუს ქიზა. — ადრეცებით მოგვითხრობს ეს გაზეთი. — ერთი სამ ძმათაგანი, ა. ზ. მდივანი

ჯვარს იწერს ამერიკელ მილიონერ ქალზე ბარბაღე ხეტონზე, ვულგო-რტის მილიონების შემკვიდრეზე. ამ ზემის გამო ალექსანდრე ნეველის რუსული ეკლესია დარიუს ქუჩაზე გადახალისდა: ეზოში დადგმულია დიდი ფარდული, რომელშიაც გამარ თულია ორანჟერი, საყდარი შორ-თულია თეთრი ბარბიბით და ზამ-



ბახებით. მეკარევეი ასეთი წინდებში ეგებებიან მოწვეულებს. არასდროს დარიუს ქუჩას არ უხანავს ასეთი თვალმომჭრელი სამოსელი, ცილინდრები და ვიზიტკები. რუსები თითქმის არავის ყოფილა საყდარში. ჯვარს სწერდა მამა იაკობ სმირნოვი, მამა გიორგი სპასკისთან და ქართველ მღვდელთან ერთად. განსაკუთრებით გალობდა მიტროპოლიტის გუნდი. ლეთისმსახურების

გათავების შემდეგ ახალგაზრდები ღებულობდნენ მილოცვას ფარდულში. მიმლოცველთა შორის ყურადღებას იპყრობდნენ ბატონი ნოე ყორი-დანია, საქართველოს ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი და საქართველოს ყოფილი ელჩი პარიჟში ჩხენკელი. მილიონერთა ამ ჯვარის წყრით ეკლესია გამდიდრდა ახალი ნოხით და საკურთხეველის კანდილით“.

არაფერია ნათქვამი მხოლოდ იმაზე, თუ რა ნამცეცხები ერგოთ ზემოდსახელებულ საყურადღებო მაყრებს მილიონერი ქალის საქორწინო სუფერიდან!

გზადავზა შავრაზმელების გაზეთი გაბედნიერებულ სიძის სხვა ძმების ოჯახურ მდგომარეობასაც გვაცნობს:

„ერთმა ცოლად შეირთო კინო-მსახიობი პოლა ნეგრი, მეორე ეყრება კინო - ვარსელავს მეიმ მუჩრის“.

შეიძლება თუ არა შედარება ამ მიღწევებთან იმ ჩვენი მიღწევების, რომლის შესახებაც ამბ. გ. მაგლობლიშვილმა მოახსენა საჭ. სპკოთა მეშვიდე ყრილობას? ამის პასუხს „ნიანგის“ მკითხველი ადვილად წარმოიდგენს!

ს. თ—ია.

ნიანგის მინიფურსი

მე, — ნიანგი, — მმუსრავი მავნებლებისა, ბიუროკრატებისა და კულაკებისა, მტერი და ორგული კაპიტალისტებისა და მათი აგენტებისა, მენშევიზმისა, პაციფიზმისა, და სხვათა, და სხვათა, და სხვათა, — აღსანიშნავად საბჭოთა ქვეყნის უზენაეს ორგანოს საბჭოების მე-7-დე ყრილობისა, ვაქვეყნებ ამ მანიფესტს ჩემი მკითხველი მახების, ნიანგორების, საკბილოთა და ჩემ მიერ დაკბილულთა საყურადღებოთ:

მიენიჭოს ჩემ მიერ ანისტია ყველა იმ პირებს, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ჩაეღინათ საქმე სანიანგო ანუ მავნებლური, მავრამ არ ყოფილა მათ მიერ ზემო აღნიშნული სისრულეში მოყვანილი.

- ამისტია არ ვრცელდება შემდეგ პირებზე:
1. იმ მოქალაქეებზე, რომლებიც დაჯილდოებული არიან ნიანგის ორდენით.
 2. იმ პირებზე, რომლებიც ითვლებიან „ნიანგის ორდენის“ კანდიდატთა და
 3. ტსოკის (ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის) გამგეობაზე, რომელსაც ჩემს შტაბში კონტრდაზვერვის ხერხით მიღებულ მისაღების მიხედვით განზრახული აქვს შევიტროს გამოიწვიოს ფასების აწევაში ხახზე, კარტოფილზე და ხილბოსტნეულის სხვა პროდუქტებზე ჩარჩ-გადაამყიდველნი და სხვადასხვა ჯურის კაპიტალისტური ელემენტები.

დედას ხეოს აწერს ნიანგი.
დედასთან სწორია მელუზა.



რეპარეზი რეპარეზზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემა მელუზასი

ნახ. დონიხ.



— თეთრების ფრონტები ავიღო, კიბოს ფრონტიც ავიღო, მახრამ კიბოს ბილეთის აღ-
ზა კი არ შემიძლია..

მოქალაქის უთაშუქილებანი



— თქვენ საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე ჩამობრძანდით? დელეგატი ხართ?
— დიას! ესე იგი დიოგატი მე კი არ ვარ, მარა მიზობელია ჩემი და იმას წამოვეყვი. აქანაი შვილი მყავს უნივერსიტეტში და რაცხა რაცხა წამოუდღე ამ ჩემმა მეზობელმა დელეგატმაც დამჩემია, საკოლმეურნეო შემოსავალი განაწილებულია, შრომა-იღვწე კაი ერთი ფული სიმინდი და პური მოგიწია,

ფული გაქვს და ქონება, წამოდი გვესერიხოთო...
— კარგი გიქნიათ.
— მირე კიდავ, ქალმაც აღარ და მაყენა, პატიფონი წამეიღეო და ქი გადავწყვიტე მეც!
— როგორია თქვენი შთაბეჭდილება? როგორი ეფექტი დასტოვა ტფილისმა?
— ეფექტის რა მოგახსენოთ და შთაბეჭდილობა დიდი მოახთინა ყორიბეღმა: ხარ ერთი, თვითონ

ჩვენს სოფელში, რომ მობრძანდე და კოლექტივს დახეიო, ფული გავინათლდებო: საბჭოს წიერი რომ ვარ, იმით არ ვიტყვი და დიდი პოგრესია ჩვენში: რა გინდა სულთა და გულო: ახალი აფთიაქი, სკოლა, კოომერატივი, ფოშტა! უკანასკნელი აბანო, რომ აბანოა, იგიც კი ავაშენეთ! მახსოვს, ძეგოთათ მოჯამე-ვირეთ, რომ გიყავი, ჩემი ხაზინი საყვიდურობდა: რა მალ-მალე მოდის ავი კალანია და აღდგომა, ტანის დაბანა მჭირდებაო!

კახაპი საბჭოთა გეოგრაფი ურილოვას

უკენი ქვეყნის დედაქალაქს კვლავ ზეიმი დაუდგეს: საბჭოების ყრილობები დღეს მეშვიდედ გაისხნესა საბჭოების დებუტატი ყველა კუთხით მოვიდესა— დამკვრელი და მშენებელი არც ერთი არ დააკლდესა.

ყრილობაზე სათათბიროდ ყველა დარბაზს ჩამოკრეფდესა ყველას პორტფელი უჭირავს მოსხენება შიგ უძევსა— იმდენი მიღწევები აქეთ ვინც აშენა, ხნა თუ თესა— ასი თაბანი ქალაღი მათ მოთვლას ვერ დაიტევსა.

ფაბრიკები ავაშენეთ, ქარხნებიც არ დააკლდესა. ფერო-გიგანტი ავაგეთ, სხვა მიღებიც აბოლდესა, მაუდსა აბრეშუმსა სულ დაზგები გვიქსოვდესა. ახალ მანქანებს ვაშენებთ, ეს რა ამბავი მოხდესა,

ვერობა და ამერიკა, ორივე უკან ჩამოგვრჩესა, — კოლექტივების სიმტკიცემ— ჩვენს მტრებს თავხარი დასცესა, კულაკობა რომ მოისპო დღეს სოლო ყველამ იცის ესა, მეორე ხუთწლედის ბოლოს უკლასობა დამყარდესა.

ეს რომ ფაშინმა გაიგო, ნამეტნაუდ დალონდესა, — თოფ-იარაღი აისხა— ნახეთ გულში რა უდევსა, გულზე მუშტის ცემით ამბობს:— ვაი დედირემის ღმერთსა, თუ რომ ომი არ დავიწყე საბჭოეთი განმტკიცდესა.

იმდენი მამა უცხონდა რაც მას დახლი დაუჯდესა. დალოცვილი ლიტვინოვი— კოვზს ნაცარში ჩაუგდესა, ყველას მოსდრეკს მშვიდობისკენ, თან ვექსილებს დაუდებსა, საბჭოეთი ზავის საქმეს— სათავეში ჩაუდგესა.

და თუ იმპერიალისტებს, არ ეყრფა ზომა ესა, თუ საბჭოთა ბაღბოსტანში დორის დინგი შემოყვესა, მათ ისეთ დღეს დავაყენებთ, ის ამბავი გადახდესა, თავის სარო შესაძრომად სამებნელი გაუხდესა.

ეს საბჭოთა ბიჭობაა, ჩვენი ზრდა რომ განმტკიცდესა, გენოსი ბელადი გყავს— წინ სულ ბრძნულად წავგიძღვა შინ და გარეთ სასახელო საქმეები ვაკეთდესა, სუყველა ჩვენ შემოგვნატრის— საამაყოდ ეს გვქონდესა.

მაგრამ ის, რაც მოვიპოვეთ, იმის წვეთად გამოჩნდესა, რაც შემდეგში უნდა გვქონდეს— მშენებლობა გაჩაღდესა, გარეთ მტერი, შინ ორგული— სამუდამოდ დამარცხდესა, ჩვენ ამ ბრძოლას წინ უძღოდეთ— კომუნისში აშენდესა.


უკასადან.

— ახლა?
— ახლა რის აღოგომა, რის კალანდა! ყოველ კვირეში ტანი თვარ დევიდერიტინე, ქალი სიახლოვეს არ წამიკარებს! რა მაგის პასუხია და კბილის პარაშოკი არ იშონება აქანაი?
— როგორ არა, რამდენიც ვნებათ!
— კაცო, შამეილეს კბილის რეცხვა: ვიყიდეთ ჩოთქები, პარაშოკები. გევიდა ხანი და შეისპო პარაშოკი თუ ვიშონი, ორთ ფოთს წვეილებ დავარიგებ მეზობლებში.
— ტფილისზე რას იტყვი?
— კაის მეტი რა მეთქმის! მარა განსაკუთრებით მაღლობელი ვარ იქაური ჯიბგირიბის!
— ?!?

— აფერი არაა გასაკვირა. (ჯიბიდან ახალ სათუთუნეს და ყალიონს იღებს): ავი მაყიდვიეს რავარც ჩამოვედი. გვეიხედ და ჩამოვიდით მატარებლიდან, შიგედით ტრამვაიში, ჩამოვხტით და მევირე ჯიბეზე ხელი: სალადაა ჩემი ქისა და ჩიბუხი! დარწმუნებული ვარ, იხუმრა ვინცხამ. თუთხშია ჩი წილიწაღია ვხმარობდი და თლა გაძიძინებული იყო, ჩიბუხი პირდამწიარო! იმ აბდალ ჯიბგირს არ გოუოსინჯავს! სახლში რომ დახედა, ალბათ გამლანძლა, მარა რა უყო! ავდექი და ვიყიდე ავი სათუთუნე და იხელისული ჩიბუხი.

— თქვენ გვონებ პალატოც აქ გიყიდით!
— ვიყიდე კი! არ ვიყიდდი, მარა, ტრამვაიში ფოლაქები ამაწყვიტეს, ახალი ფოლაქი ვერ ვიშონე და ისე-

საარჩევნო პლაკატი



კაპიტალისტურ ქვეყნების საარჩევნო ტექნიკის ვაცნობის მიზნით დათარგმნებული ჩვენს ყურნალში საარჩევნო პლაკატების ერთერთ ნიმუშს. რედაქცია პასუხისმგებელი არ არის პლაკატებში დასახელებულ გვარების, ადგილების, სახელების და ქრონოლოგიურ აღრიცხვის სისწორეში. სამაგიეროდ აქ მოყვანილი დოკუმენტების სტილი (და პოლიტიკური ხასიათი ზუსტადაა დაცული.

პატივცემულო მოქალაქეო!
აირჩიეთ ერთხმად ჯიმი ჯონჯოლი.

ჯიმი არის ჯიმი ჯონჯოლი?
ჯიმი ჯონჯოლი უბრალო ვინმე არ გვერნით ეს ას პროცენტები ამერიკელია. ჯონჯოლს აქვს ავტორის ქარხანა, ყველის ქარხანა, სხვადასხვა საწყოები და 1.500.000 დოლარი. მისმა ბაბუსა ყავასანა ქონდა. მისმა პაპამ გახსნა ბანკის სათამაშო სახლი გაქრისტიანებულ ინდოელებისათვის. მისი ბებია არაყით ვაჭრობდა ფლორიდის ოქროს საწრობებში: იღებდა პატარა ჭიქით ხელში ეკლესიის კარებთან და აწოდებდა გამვლელთ იუდას ცრემ-

ვე პალტო ვიყიდე! ამაზე იტყვიან, გაჭირვებამ დედოფალოან დაიწვიანაო...

— სხვა რა მოგეწონათ?
— თქვენ იგი მიბძანეთ, რა არ მომეწონა! დაგვარონიეს მთელი ქალაქი მე და ჩემს მეზობელს, ალბათ მისი ხათრით: მაუდის დ აბრეშუმის, ტყავის და ფეხსაცმელის, რკინის, ფოლადის, მანქანების და ათასი სხვაი ფაბრიკა და ქარხანა, ახალი სახლები, კარ ქუჩები, მაღაზიები... რა ვიცი, მაგის ჩამოთვლას ერთი კვირა მოუნდება. ერთი სიტყვით, ყორიფელი კაი და დიდებულისა, დუქნები სავსეა საქონლით, ბური რამდენიც გინდა, ტანი, ფეხი, სასმელ-საჭმელი... მარა ერთი რამე არ მომეწონს:

— რაა ისეთი?
— კაკო, ამ დედო შარაზე რომ მილიციონერები არიან გაშტიქინებული და აქეთ-იქით ხელგებს აბზევენ, რას იპრანებენ ვითომ?
— ჰოო, ისინი მოძრაობას აწყობიან.
— ამ მოძრაობას თუ მოწყობიანა უნდოდა, მაგი ალარ ვიცოდი!
რა ვიცი რაეა, თელი ქუჩები ამოძრავებულა, ტრამვაი მიდის, ავტომობილი და ავტობუსი, დივობზე ჩემო ძმაო წვიდეს მისთვის, რა მოხელე ხარ შენ ხელს რომ უბზეკ?
ალ. მალულარია.

ლებს“ (არაყს უძახიან) ჯანზე მოსაყვანად.

ჯიმი ჯონჯოლის მამამ ჩარლზ ჯონჯოლმა პირველად გამოიგონა ქვეის წამალი და სიკვდილის შემდეგ მან დატოვა ერთი აბანო, ორი სადალაქო და სენატორის წოდება.

ჩვენ ძვირფასი კანდიდატი ჯიმი ჯონჯოლი მისი უმცროსი ვაჟია. დიდია ჯონჯოლის დამსახურება ქვეყნის წინაშე. ის მეთაურობდა



ბრძოლას დარვინის თეორიის წინააღმდეგ; მან გაილაშქრა არჩევნებში ქალების მონაწილეობის წინააღმდეგ და სათავეში ჩაუდგა ანტიფემინისტურ მოძრაობას. როგორც მა-

მამ და მეუღლემ, ჯონჯოლიმ შეწყვიდა ქალაქის წყალსადენის თითქმის ყველა აქციები; მან გახსნა პირველი ხენჯრის საქაფი ფაბრიკა. ჯონჯოლმა, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანმა, მისი მეგობრების დახმარებით სტრახინის შხამით მოწამლბ მისი კონკურენტები და საკუთარი ხარჯით დამარხა ისინი. ეს მაგალითიც ნათლად ამტკიცებს ჯონჯოლის სიუხვეს და მის აჯულყეთილობას. როგორც კომუნისტი, ჯონჯოლი სახარების ქრისტიანთა და შამშილოლის წლებში გასესხებულ ფულში 33 პროცენტის მეტი არასოდეს არ აუღია.

შეხედეთ მის სახეს, გახსნაო შუბლს მის გაფურჩქნულ ღაბაბს და თქვენ მიხვდებით, რომ ის ერთხმად ასარჩევი კანდიდატია.

ამომრჩევლო! თუ შენ არ გინდა შავი ნეგრები ბედავდენ შენს გვერდით ჯდომას ტრამვაის ვაგონში; თუ შენ არ გინდა, რომ უმუშევრებმა დაანგრიონ ბანკები, სადაც ინახება შენი აქციების მომავალი, თუ შენ არ გინდა რომ დამშვიდებით ისმინო ახალი ჯაზი და კუბლეტები წმინდა მარუსას, ტაძარში*).

— აირჩიეთ ჩვენი ძვირფასი კანდიდატი — **ჯიმი ჯონჯოლი.**
(„პრაპ“.)

* კორექტურული „შეცდომა“ უნდა იყოს — წმ. მარკაშის მაგრაში ვინაიდან ამით შინაარსი ბინც ან იცვლება, — ალარ ვასწორებთ.

ერთი ეპიზოდი

ნიანგო ჯან
ამ ბოლო დროს
ხათა რამე ავიკიდე
ჩემს ოთახში
ავტომატი
ტელეფონი დავიკიდე
იქ მორვევი
წინ დამიხვდა
დავიგულე სადაც ფონი
მე შეგონა,
ავშენდები
თუ დავიღვი ტელეფონი.
ავშენებას
ვინ დაეძებს
ალარ მაძლევეს მოსვენებას:
ხან რადიო—
კონცერტს ვიხმენ
ხან რადიო-მონსენებას.

ამას წინად
მის ყურმილი
მივიტანე ყურთან როცა
ხმა მომესმა:
„გეტრფი მარად!..“
გამაკვირვა, გამაოცა!
★
შევეკითხე;—
ხმა არ გამცა
ვატრიალე დისკო „მარა“.
საპასუხოდ
კვლავ მომესმა
„გეტრფი მარად! გეტრფი მარად!..“
★
გავიგონა
ჩემმა ცოლმა
გამომიღვა კეტით ხელში
კართან რომ ვერ
მივასწარი,
სარკმელიდან გადავიწყვი...
1-ზა.



ჩვენს ტრამვაის კონტროლი ჰყავს მეგრო-ასი, ათასიო, მაგრამ ყველას ენაიკალოს ეს ფილიპე ხავთასიო.

მგზავრებს ლანძღავს უმიზეზოთ, ზჯარიმებს წარამარა, გასუქდა და გაიბერა დაავროვა ბლომო-ფარა.

ამას წინათ დაეჭირა დედამბერი ვინმე ბაბო, მილიციას სთავაზობდა უმიზეზოთ, უსაბაბოთ;

ვინ არ იცის: თო დაარღვევ შოძრობის ურყეი წესებს — შიყის ჯარიმა გადაგხდება თუ ვინდ სწვრდი შოთას ლექსებს ჯარიმისთვის არ არსებობს.

დიდ-პატარა, კარგი ზეი, ტყუილია დამუქრება, და სიტყვები სალანძღავი.

მაგრამ მაინც არა მჯერა, მაგრამ მაინც არ მგონია, რომ კონტროლთან ყველა სტყუის, ის კი თითონ — კანონია.

ზოგიერთი მათგანი კი თვითონ არღვევს წესებს ხშირად და მთავრობის მითითებებს ხტრიალებს თავდაყიროდ.

მაგალითად: გავისენოთ ეს ხავთასი დიდებული (გენახებთ: მუდამ თითი შუბლზედა აქვს მიღებული!)

თუ ოდესმე შეგხვედრიათ მოგროვილი ხალხი ჩოჩად — იცოდეთ, რომ ეს მგზავრები ამ ხავთასიმ შეაქურა.

ნერვიული ბიჭი გახლავს, ჯოყლოჩინობს, იბღინებდა, პროცენტებით თავი მოაქვს, მაგრამ მაინც იგრა ძღვება.

რახმაძეჯანი! გეუბნები ამ ხავთასის გადამაიოგ — უცემარი არ დარჩება! — გააფრთხილე ერთხელ კიდევ!

გაგვლელი



„სოფ. ალბანის, რიცეულას და ნამოხვანის (ონის რაიონი) საკოლმეურნეო პირუტყვი უჭმელობით იხოცება, მათ არა აქვთ ავრეთვე შესაფერი ბინა და მოვლა-პატრონობა“.

(„ინანგის“ რედაქციაში მიღებულ წერილიდან).

— მეტის ატანა შეუძლებელია, მოვიწვიოთ კრება და ჩვენი გაჭირვება ქვეყანას გავაგებინოთ! — მიმართა თავის მეგობარს სოფ. ალბანის კოლმეურნეობის მშრომელ პირუტყვთა კოლექტივის თავმჯდომარე ნიშას — ს. რიცეულას ასეთი-ვე კოლექტივის თავმჯდომარე ნისლამ.

— აუცილებლად მოვიწვიოთ ზეგ, მე ვაცნობებ ყველას, ყველას მოვიყვან კრებაზე.

დღის ათი საათი იქნებოდა, როცა სოფ. ალბანაში მალალი ხის ქვეშ იწყეს თავის მოყრა პირუტყვებმა.

— ამხანაგებო! ნება მომეცით კრება გახსნილად გამოვიქნახლო. სახამ დღის წესრიგის განხილვაზე გადავიდოდეთ, გთხოვთ ფენზე ადგომით პატივი სცეთ ჩვენი კოლექტივის წევრთა ხსოვნას, რომლებიც დაიღუპენ ამ ახლო წარსულში.

1) წაბლა — ახალგაზრდა დევეული, გარდაიცვალა შიმშილისაგან.

2) ნიკორა — შოხანის მუშა-ხარი, მომვლელმა სახრით წელი მოსტება და დასახირდა, ამ მიზეზის გამო დაჰკლეს და შეკამეს.

3) ფლალა — ჩვილბზოიანი ძროხა, აი, ის კაჭახიძემ რომ ლექსით შეაჭო, ის უბედური რა გახარებულ იყო ამ ამბის გაგების შემდეგ, როგორ სიამაყეს გრძნობდა, რომ მასზე ლექსი დასწერეს — სწორედ ეს ფლალა იმსხვერპლა ყინვებმა, მეტად სათუთი და ნაზი იყო და ვეღარ აიტანა.

4) ბულრა — მუშა-ხარი, დაკლულ იქნა თავმჯდომარის ბრძანებით, გატყავებული და შეკმული.

აი, ამხანაგებო, ვინც მომაგონდა, ზოგიერთი აღარ მახსოვს. ახლა მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხანაგ ნისლას:

ნისლა ტრიბუნაზე ავიდა და დაიწყო:

— ამხანაგებო, ნება მომეცით დავჯღღ და ისე გავაჩიოთ მოხსენება, რადგან უჭმელობით მეტად ქანც-გალეული ვარ. თქვენ იცით ჩვენი შეკრების მიზეზი — ეს ჩვენი აუტანელი მდგომარეობაა, არა გვაქვს ბინა, საჭმელი, კარგი მოვლა-პატრონობა. მსხვერპლთა რიცხვი დღით-დღე მრავლდება, ასე თუ გავრძელება, ჩვენგან აღარაფერ დარჩება, სულ ახლო ხანში უნდა გიღონოთ რამე, გთხოვთ ილაპარაკოთ ამას შესახებ. მე მეტი აღარ შემიძლია. (წვიბა).

სიტყვა ეძლევა წიქარას. გამოდის წიქარა და აცნადებს: ამხანაგებო, აი, შემომხედეთ — ცალი რქა ახალი მოტეხილი მაქვს. კუდიც მიჭრილი, ეს გუშინ ჩაიღინა ჩემმა ჯალათმა მომვლელმა, მე მოვიტხოვ პრდაპირ ბრძოლა გაეჩალოთ მაგათ წინააღმდეგ, მეტის მოთმენა შეუძლებელია!

— ბრძოლა სასტიკი, მეტის მოთმენა შეუძლებელია — გაისმა ხმები სხვა დამსწრეთა შორის.

— დამშვიდდით ამხანაგებო, ასე შეუძლებელია კრების გაგრძელება, ეს არ შეეფერება ჩვენს კოლექტივს, საჭიროა უფრო დინჯი და მოფიქრებული ზომები. ავიჩიოთ დელეგაცია და ვახლოთ რაიონის თავმჯდომარეს, შეიძლება იგი შევიდეს ჩვენს მდგომარეობაში და გვიშველოს რამე — განაცხადა თავმჯდომარემ.

— რისი დელეგაცია, ხომ არ გადირიეთ, დაკლავს ყველას და ტყავში ამოაღებინებს, გინდათ კიდევ უმსხვერპლოთ რამდენიმე წევრი, მაგ ვერაგებს? — გაისმა ხმები.

— არაფერსაც არ დაკლავს, ნუ გეშინიათ, იგი რაიონის თავმჯდომარეა, ჩვენი სოფლის არ გეგონოთ, იგი ყურადღებით მოგვეპყრობა და გვიშველის, მე კენჭს ვუყრი ამ საკითხს, ვინ არის მომხრე დელეგაციის გაგზავნის?

კრების უმრავლესობა ხმას აძლევს. მაშ ამხანაგებო, სანამ რაიონი გვიშველიდეს, მანამდე გაუძლოთ ამ უბედურებას, ყოჩაღად ვიყოთ.

კრება იშლება პირუტყვი იქვე რჩება, ხის ძირში — ღამის გასათევად. **სიანგელი.**



კვანთალი ნიანგო!

1

ჩვენ, ლაგოდების საბ. მეურნეობაში ორმოც დესეტინაზე დათესილი მზესუმზირა, რომლისაგან მზადდება პირველხარისხოვანი ზეთი, გაცნობებთ შემდეგს:

ჩვენ იმიტომ გვქვია ასეთი სახელი, რომ მზეს მის ამოსვლიდან ჩასვლამდე ვუცქერთ, მისკენ ვიბრუნებთ პირს. დღეს კი რყვილად გვქვია ეს სახელი. სადა გვაქვს იმისი ძაღლონე, რომ მზეს ვუცქირთ! მოუვლელობით ისე წაგხდით, რომ თავის თავიც ვერ აგვიღერია ზემოდ.



მივმართეთ მეურნეობის მესვეურთ: სიმონს, აკრონომ ხოფერიას, და ქარხნის დირექტორ ნიკო ჯაბაშვილს, რომ ერთხელ მაინც მოველოწუებით და წყალი დაეღვინებიათ ჩვენთვის, მაგრამ აი რა გვიპასუხეს:

— წყალი რა სასმელია! ავ, მესმის ჩვენსავე, რომ სვამდით ღვინოსა და არაყს. ანდა თქვენგან ზეთის მაგიერ ღვინო - არაყი მზადდებოდეს, სად გვცალია თქვენთვის, როცა მოცლა არა გვაქვს ჭეიფისაგან! — გვითხრეს ეს და წავიდნ საელაპავად.

გაცნობებთ, რა ჩვენს გაჭირვებას, გონივით მიიღოთ სათანადო ზომები, თორემ ჩვენ პასუხისმგებელი ვერ ვიქნებით გიგმის შისრულებების.

2

ვიყავი ცოში. არ გვქონდა ჩხუბი-ომი; გვექონდა პური და ღომი. ტანს გვეცვა სუფთად, კოხტად.

მაგრამ, აი, რა მოხდა!

ამხანაგობდა იგი მაროს, თინას და პაშას. ესენი კი იცნობდნ ცნობილ მკერავსა საშას.

გადამირიეს ცოლი: — შენ ხარო ჩვენი ტოლი. შეაკერიე საშას კოვბდემენისო კაბა. ასეთი კარგი ქალი სხვებს აკერვიებ აბა?

და ამიხირდა ცოლი, (ახლა კი გავხდი ცოში): — რაც მატყულიე კმარა. ფული ჩამოდი ჩქარა!

„საშა პარტნოს“ გარდა ყველას დაჰხურა ფარდა. წაიღო სამი მეტრი მან კრებდემენი იქა. (იმის ყიდვაში, ძმაო, ქე გამძვრა ზურგზე სიქა).

— ეს არ გეყოფა, — უთხრა, —



— მოვიგონე! ვაშა! ნიანგის გამოწერა 1935 წლისათვის!

გჭირია კიდევ ერთი! — (ისემაც შეეწიოს საშას ყოფილი ღმერთი).

უთხრა: — მაისში მოდი, ავილოთ მაშინ ზომა! ცოლს ეს პასუხი მისი დიდად არ მოეწონა. უთხრა: გადვიხდი სამშაგს, ოღონდ შეკერე მალე!

პასუხად უთხრა საშამ: — ბინაზე მოდიტ ხვალე.



მივიდა და რა ნახა! ქალთა გუნდშია საშა. (გვეგონებოდათ იგი სულთანი ან თუ ფაშა). ქალები ესეოდნ ვითარცა თაფლსა ბოჭნი. (აქ იყვნენ ქალნი მცირე, დიდნი და დიდზე ტოხნი).

სარეწ. კავშირის არტელს არა სჯერდება იგი. ბინაზე და არტელში მუდამ აქვს ქალთა რიგი.

წაიღო ცოლისაგან ხელფასი ორი თვისა. (და იქვეიან ასე ალბათ ცოლები სხვისაც).

ნიანგო, კბილი გაჭკარ ჩვენს კუდაბზიკა ქალებს. კარგს იჩამ, თუ საშასაც დაუბრიალებ თვალებს.



„კუდების სახელოსნო“

ქართული
ბიბლიოთეკა

შუშაობის დამთავრების შემდეგ ის იყო სახლში წასვლა დაეპირე, რომ რედაქციის კარები გაიღო და ოთახში ერთი კილოიანი სტანდარტული ფორმის 96 პროცენტური პუ-რი შემოეორღა.

- გამარჯობათ ამზანაგო!
- ვაგიმარჯოთ, რაზე გარჯილ-სართ?
- სსსს-უ, ჩემი, არ ვაიგონ; მომდევნ!
- ვინ? საიდან?
- მესამოცდაჩვიდმეტე პურის წერტილან. გამყოფველი გამოშეკიდა; გამოვიქცი.
- რატომ, მოპარვა ხომ არ დაგი-პირა?
- რა ბრძანებაა, ვინ მომცა იმდე-

ნი იღბალი რომ ჩემს მოპარვაზე თა-ვი ვინმემ დადოს. კი არა არვინ მი-ყიდა: ხალხი პროტესტს აცხადებს: მოდიან, ამბავს იგებენ და სხვა წერ-ტიბისავენ ვარბიან. ეპ, ვის ხელში ჩავევარდი!

- ნუ ამლაშებთ მოქალაქე პურო; გეტყობათ, ვილაც მავნებლის ვავლე-ნის ქვეშ ხართ მოქცეული.
- ეპ, თქვენშიაც მოგტყუელი, მეგონა აქ მინც ვიპოვნიდი საპარ-თალს-წაიბჟობულთა პურმა და ის იყო, სახლში წასვლა დაეპირე, გაბრაზებულმა ხელი ვტაცე და ყბა-ში რამდენიმე ლაზითიანი ლუქმა ჩავეგორე.
- სწორედ რომ ვითხრათ, ძალიან მესიამოვნა, ჯერ ასე გემრიელად,

ჩემს ცხოვრებაში პური არ მიჭამია, გემოზე ჭამა კი პუიებრივი იყო: წი-ნა დღის ნამთვრალევი ვიყავი და ხა-ბახოსიგზე ხომ იცით რა გემრიელია მყავე საქმელი...

ხელმეორედ დაეპირე სახლში წა-სვლა. ხელმეორედ გაიღო კარები და ოთახში ასეთი წარწერა შემო-ვორდა:
ჯივის სათემის გადაქმე-ბა ხელის მავანჯეი.
ქარლ მარქსის კუნძულზე ასეთ რეკომანს წავაწყდი:
„ტრიკობაჟისა და ძალის კუ დების სახელოსნო № 59“.
ამ დღეს ნიანგისათვის სხუა საყუ-რადლებო არატერი შემხვედრია.
გია.

უძლურების ბრავი

ნახ. ლაშხის.

სეთორგვარდილები აგროქელეგენ პროლო-გაიტულ მოქმედებს აღმ. ჩინეთის რა-გზაზე.



12

— ვინდ ვანგროთ და ვინდ ვაშენოთ, — ამ გზით მოსკოვში მინც ვერ ჩავალთ

პაპარა მოთხრობები



ერთი ღამის აგზავნი „ათასხართი ღამიდან“

1934 წელი სულს ლევდა 31 დეკემბერს, როცა სოფლის თავზე მალა ცაში გამოჩნდა მფრინავი ხალიჩა, რომელზედაც სუფრა გაეშალათ ეოლა პატარაქალიშვილს, მიშა ხარბიძეს და გოგი ხარაჭიშვილს. შეეჭყვოდნენ შემწვარ ქათმებს.

ნუცა პირმისაშვილი კი ტიროდა და ტურებს აბრალებდა თავისი ქათმების მოტაცებას.

საწყალი ტურები სოროებიდან გამოიყურებოდნენ და ამბობდნენ:



— ჩვენ რა შუაში ვართ? ყვილაფარს ჩვენ აგებრალეებენ! ქათმიბი მიშამ და გოგიმ წაიყვანეს; აგებრალეებენ კი—ჩვენ.

მაგრამ ტურები ვერ ბიდავდიან სოროდან გამოსვლას და ამ ამბის ამბებლას.

— ქალო, შენ ქათმებს მისტირი, შე კი ხალიჩა დამეკარგა. ვილაცას ჩუმად ოთახიდან წაუღია!—უთხრა ნუცას მეზობელმა ქვრივმა ქალმა.

— სწორედ ამ დროს ქვრივმა თავალი მოჰქრა მალა მფრინავ ხალიჩას, რომელზედაც ქვიფობდა ზემოდდასახელებული სამი პიროვნება.

— ჩემი ხალიჩა, — იცხო ქვრივმა თავისი ხალიჩა.

— შენი უკვე აღარ არის. ვადასახადში წამოვიღე შენგან! — ჩამოსძახა კოლამ ქვრივს, რამდენჯერმე ირარ დაუარა თავზე დაზარალებული და განაგრძის ფრენა.

არავის ეგონოს, თითქოს ეს ამბავი ამოღებულია „ბაღდადეგი ქურდიდან“.

ეს მოხდა სოფ. ალაიანში, კასპის რაიონში.

„ჯარ ღაინოსენ, მარამ იმორწინეს“

სოფ. ორჩხუთში მოსახლეობა ფეხზე დადგა, როცა ეტლმა ჩამოიარა ეტლში ისხდნენ სამი ვაჟი და ერთი ქალი. ვაჟებს მკლავზე სამგლოვიარო შავი ლენტო ჰქონდათ მიკვრებული. ერთი მათგანი მეეტლეისთან იჯდა და ხელში ეჭირა დასაფლავების გვირგვინი.

ქალი ძაღობდა და ტიროდა;

— მიშველეთ, დაგიოჟებ!

— საწყალი! აღბათ ქმარი მოუკვდა.

— რა მოუვიდა ნეტა! — კითხულობდნენ გამვლელები.

— საყვარელი ბებია მოუკვდა და დასაფლავებაზე მივიდვართ! — განუმარტა მეეტლეისთან მეჯდომარე თანამგზავრმა.

ეტლი სოფ. ლს გასცილდა და ტყის პირას შეიახლოვდა.

მგზავრებმა ქალი გადმოიყვანეს და ერთმა მათგანმა ქალს მიმართა:

— ფებრონია, მიყვარხარ და შენმა სიყვარულმა ჩამადენია ეს საქციელი. შენაც და შენი მშობლებიც უნარზე იყავით. მოგეტაცე. ნუ დამლუბავ. ვახლი ჩემი და ორთავენი ბელხერი ვიქნებით!

ქალი დაღლალიყო და უნარი აღარ ჰქონდა. თანაც მასში ვაჟისადმი თანაგრძნობა დაიბადა.

— ის გვირგვინი რად გინდოდათ? მკლავებზე ი' ტრაურიც! — დამშვიდებით იკითხა ქალმა.

თითქოს ახლა მოაგონდათ, გვირგვინი თხრილში ისროლეს და მკლავებიდან ტრაური ჩამოიგლიჯეს.



— ეს იმიტომ, რომ სხვებისთვის თვალი აგვეხვია. დიცილით, რომ შენ მოტაცების დროს იყვირებდარ, ატირებოდი, შვილას ითხოვდი. ხოლო ეს გვირგვინი და ტრაური გამვლელებს დაარწმუნებდნენ. რომ მიცვალებულის დასაფლავებაზე მიგვყავდით.

ქალს გაეღიმა.

ამ ღიმილმა საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

როცა იგივე მგზავრები უკან დაბრუნდნენ და ეტლში მზიარულად ბასობდნენ, გამვლელები ამბობდნენ:



— ასეთია ცხოვრება და კაცის გული. წელან გვირგვინით, ტრაურით და მოოქმე-ტირით მიდიოდნენ. ახლა კი დასალოაობის შემდეგ ტრაური ჩამოიხსნათ და მზიარული ბრუნდებიან შინ. ასეთია ცხოვრება და კაცის გული.



იზვიათი მოვლენა

ჯანსაღონი. მოხდა იზვიათი და მტად საკვირველი რამ: პირველად მთელი წლის განმავლობაში რაღაც ხუთი წუთის ლოდინის შემდეგ შეაერთა მსურველი ტელეფონის მორიგებ და მისცა ლაპარაკის საშუალება, რამაც საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

იზვიათი

წვილილი სანიმოდან

სუზსა. ამ დღეებში ფინმომუშავებ—წილოსანმა ვარდაცვალეზული სიმონ მახარაძიდან მიიღო საყვედურით სავსე წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „ამდენი ხანია საიქიოს ვარ, გავიგე ჩემი ალალი პენსია (80 მანეთი თვეში) მანდ რომ ვლენბულობდი — შენ მივილია ექვსი თვის განმავლობაში—ალბათ ჩემზე ვადმოსაცემად. „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“ — ნათქვამია და გთხოვ ვადმომიგზავნოთ, ძალიან მჭირია.

სიმონის მოულოდნელმა წერილმა წილოსანი ცუდ ხასიათზე დააყენა.

ზორაშული.

თევზების ჯალათი

მალაროსპარი. (დუშეთის რაიონი) ფშავ-ხევისურეთის საგზაო მშენებლობის გამგეობათათარიშვილმა დინამიტებით თევზების „აფეთქებას“ გეგმა შეასრულა 50 პროც. გადამეტებით, ხოლო საგზაო მშენებლობის 70 პროც. დაკლებით. გადაწყვეტილია თათარიშვილი განთავისუფლდეს საგზაო მშენებლობის გამგეობის თანამდებობისაგან და დაინიშნოს მეთევზეთა კოლექტივის თანამჯდომარედ, როგორც დინამიტის საუკეთესო მსროლილი..

იძიდანმა. სასადილოში გამეფებული სიბინძურის გამო აქაურმა ძაღლებმა და ვირთაგვებმა შემდეგი განცხადებით მიმართეს სასადილოს გამგეს! „ჩვენ, სასადილოს მოდმივი მცხოვრებნი, დარჩეული შენს დიდ ყურადღებას და პატივისცემას—უკანასკნელ ხანებში მტად შეურაცხყოფილად ვგრძობთ თავს აქ გამეფებულ სიბინძურის გამო, გავვიჩნდა ქეცი და მუნი, აღარ ძალგვიძს შავიდებზე სტომა-ნავარდი, რათა იგი გავასუფთაოთ, რადგან ვხედავთ თავს არ იწუხებენ შენი მოსამსახურენი ამისათვის მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია, თუ ახლო ხანში არ გამოვისწორებიათ მდგომარეობა—ჩვენ თავს დავანებებთ შენთან სამსახურს.

ხეველი



სწირია შემთხვევა, როცა ბარკიდან ხაზზე უშვებენ ცუდად შეკეთებულ ვაგონს, რაც იწვევს მოძრაობის შეფერხებას.

კონდუქტორი:—ამდენი მგზავრები კი არა, მე და ვაბანნი თუ ვაგვიყვანა; ისიც პარგია!



ნან. დონის

კინოზი.

მამურავალი: — თუ დაკარგულა, აღზად მივლინებაში იქნება

წახული.

გოგოჩი

ნან. ლურიესი.

„მოაგაგენი“

ოფიციალურად (ოფიციალური) იწე-
რებით:

ვენაცვალე ვარსკვლავებსა
და მოჭედდილ ცახო,
დაგვიდუმდა რადიო და
აღარ იღებს ხმასო.

თუ ეს ასეა, თქვენი საბჭოს კულტ
სექციაც იმ რადიოს ხომ არ ბაძავს?

ორს (სენაკი) ახირებულ ბრალ-
დებას უყენებთ ქალაქის საბჭოს, რო-
ცა გვწერთ:

ქალაქის საბჭომ მწვანეთ შე-
ღება ქალაქის ბაღის ღობე. მუშა-
ობა გრძელდება კოლხერატივის
შენობების და საცხოვრებელი ბი-
ნების ფასადის მწვანედ შესაღე-
ბად.

მერე რა არის ამაში საძრახისი?
თქვენის აზრით ის, რომ სენაკის სა-
ბჭოს ეს ქალაქის გამწვანებათ მია-
ჩნია და ამით ამთავრებს სენაკის
გამწვანებას, მაგრამ ეს ბრალდება
ნაადრეულია. რაც ახალ სენაკის სა-
ბჭოს აქამდე გაუკეთებია (ვგულისხ-
მობთ ბაღის ღობის და შენობების
შეღებვას) ის საძრახისი კი არა,
წასაბაძიაცაა; და თუ ის მხოლოდ
ფიქრობს, რომ გამწვანება ამით დაა-
მთავროს, ჩვენ თანახმად ნიანგის
დღევანდელ ნომერში გამოქვეყნე-
ბულ მანიფესტისა, უფლება არა
გვაქვს, რომ წინასწარ ჩვენი ჩანგ-
ლის წერა გავხადოთ.

ჯავახს (აქვე) თქვენი „ლექსი“
ავაფსანდალის სტილით არის დაწე-
რილი. მიუხედავად ამისა დაჟინე-
ბით მოითხოვთ მის გამოქვეყნებას.
ეასრულებთ ნაწილობრივ თქვენს
სურვილს და ვაქვეყნებთ ორ ტაბეს:

პირველ ტაბეში სწერია:
ჩემი ნატვრა ზეცას წაშიყვანს,
სვჯობს ისევე ჯავს მოუსმინო
იგი ვამიხსნის ჭამის მადს
და ხელში ელექტორ—ნაკადს(?)
როგორც თქვენი ლექსის შემდეგი
ტაბეიდან ჩანს, ჭამის მადს უკვე
გავხსნიათ და ახლა ახალ პრეტენ-
სიებს აყენებთ:

მსურს რომ ვიჯდე
მარად მარტო
და მუსიკას
ვუსმენდე პარდონს
მუსიკის შიმში
გულს მიძვერებს
როს უცეკვავ მე ჩასტონს.

„ჩასტონს“ ლექსური სვობია: თა-
ვიც „ნორმალურ“ ტემპერატურას
შეინარჩუნებს და ფეხებიც გაიხურ
დებო.

ალი-ბეგს (აქვე სახ. უნტის სტამ-
ბა) თქვენს პატაკში ნიანგს
ატყობინებთ:

ძვ. სენაკის საბჭ. მულრნობაში ღო-
რებს 15 დღის განმავლობაში არქო-
ნებით ნოყიერი საკვები.



— გაგიმარჯოს ღოუტუნიაჲ! რასდაღონებულხარ, ხომ უყურებ არ
გივიწყებთ და შენს სადღეგრძელოს ვსვამთ.

ივლისიდან ყველა მუშებს
დაგვივითებს შეშის ფული
და მის შემდეგ მოლოდინით
დავიმშვიდეთ ყველამ გული
ღრო ვავიდა მაგრამ შეშას
ვეღარ ვნდავთ: აღარ მოდის
ვინც ჩვენ ასე ვვაპარაგებს
„დამკვერელია“ ახალ მოდის!
სავსებით ვეთანხმებით თქვენს და-

სკენას და ვევალებთ თქვენს ადმი-
ნისტრაციას იმ „დამკვერელს“ შე-
საფერად დაჯილდოებას. თუმცა
„ბოროტი ხმები“ ამბობენ, რომ ად-
მინისტრაციამ ნამდვილი დამკვერე-
ლებიც კი გააცურა: ოქტომბერში
დაპირდა ჯილდოს და ფაქრიურად
დღევანდელამდე არავინ დაუჯილ-
დობიაო.

